ურთიერთშეთანხმება

(№36 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დამატება „დანართი №4“)
მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოს საბავშვო ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები
(NAT210001507)

ქ. მარნეული 10 დეკემბერი 2021 წელი

ერთის მხრივ, **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია,** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მერის **კენან ომაროვის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „მშენებელი 2020“-ის** (შემდგომში „მიმწოდებელი“) დირექტორის **ირინა დუმბაძის** სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, მხარეთა შორის 2021 წლის 26 მარტს გაფორმებული N36 ხელშეკრულების მე–18 მუხლის, ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის მოხსენებითი ბარათის (N78-3221344127, 10.12.2021) საფუძველზე ვთანხმდებთ შემდეგზე:

1. შეიცვალოს ხელშეკრულების მე-19 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

*ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან **2022 წლის 01 მარტამდე,** გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.*

2. წინამდებარე ურთიერთშეთანხმება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან.
3. შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.
4. ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი.

5. **მხარეთა რეკვიზიტები**

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი:**
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია	**შპს „მშენებელი 2020“**
ს.კ 234232149	**ს.კ 448410318**
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი:	**დირექტორი:**
კ. ომაროვი	**ი. დუმბაძე**
MARNEULI MUNICIPALITY Digitally signed by MARNEULI MUNICIPALITY Date: 2021.12.10 16:26:53 +04'00'	Irina Dumbadze Digitally signed by Irina Dumbadze Date: 2021.12.10 16:40:36 +04'00'

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული/კვალიფიციური ხელმოწერები

წერილის ნომერი:**78-3221344127**
თარიღი: **10/12/2021**

ადრესატი:

კენან ომაროვი
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების

სამსახურის უფროსის **ბექა აბდელანის**

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ **2021 წლის 26 მარტის №36** სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, **შ.პ.ს „მშენებელი 2020“** ახორციელებს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში საბავშვო ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომელიც უნდა დაესრულებინა 2021 წლის 6 ნოემბერს, დღეის მდგომარეობით სამუშოები არ არის დასრულებული და შესრულებულია სამუშაოების 76%.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიას 2021 წლის 09 დეკემბრის №12/09 წერილით (რეგ. №06/322134431-32 10/12/2021წ.) მოგვმართა **შ.პ.ს „მშენებელი 2020“**-მა, რომელიც აღნიშნავს, რომ სოფელ ყიზილაჯლოში საბავშვო ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაასრულებს 2022 წლის 20 იანვარს და ითხოვს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას 2022 წლის 1 მარტამდე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე **შ.პ.ს „მშენებელი 2020“**-ს ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაუგრძელდეს 2022 წლის 1 მარტამდე.

დანართი: / **შ.პ.ს „მშენებელი 2020“**-ის წერილი /

პატივისცემით,

ბექა აბდელანი

ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

შპს მშენებელი 2020

ს/კ 448410318

ქედა სოფ წონიარისი

ტელ 577 44 56 71

ელ-ფოსტა ramazi2305@gmail.com

LLC mshenebeli 2020

i/c 448410318

keda village tsoniarisi

tel 577 44 56 71

e-mail ramazi2305@gmail.com

№ 12/09

9 დეკემბერი 2021 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კენან ომაროვს

ბატონო კენან,

გაცნობებთ. რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს მშენებელი 2020-ს შორის 2021 წლის 26 მარტს გაფორმებული #36 ხელშეკრულების საფუძველზე ვაწარმოებ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოს საბავშვო ბაგა-ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

სამუშაოების ძირითადი ნაწილი შესრულებულია, მაგრამ სამუშაოების სირთულისა და შენობის ავარიულობის გამო, ასევე სხვადასხვა პრობლემების გამო სამუშაოების წარმოება მიმდინარეობდა ნელი ტემპით, ამიტომ გაჭიანურდა სამუშაოების სრულად დასრულება, რომელსაც დავასრულებთ 2022 წლის 20 იანვრამდე, ხოლო ექსპერტიზის დასკვნის მომზადებისა და შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების პროცედურებისათვის გთხოვთ ხელშეკრულების მოქმედების ვადა გადაგვიწიოთ 2022 წლის 1 მარტამდე .

პატივისცემით,

შპს მშენებელი 2020-ის დირექტორი: ირინა დუმბაძე

პატივისცემით,

შპს მშენებელი 2020-ის დირექტორი: Irina Dumbadze Digitally signed by Irina Dumbadze Date: 2021.12.09 19:09:02 +04'00' ირინა დუმბაძე